შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (9.901)

2 - 9 ნოემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გიორგი გახარია - ის, რაც გუშინ ვიხილეთ, არის მიზანმიმართული შეტევა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე

გვ. 2

ნააჯახევი ქოხწინება, ოგოხც აქიჯევსის ქუსი

გვ. 5

ანგარიში- საზოგადოებას!

ბიუჯეტი მოსახლეობის საჭიროებებზეა გათვლილი

გვ. 3

„საზოგადოების რჩეულის“ ჯილდოს მფლობელი მუცოს რეაბილიტაციის პროექტი გახდა

მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა ევროპული მემკვიდრეობის პრიზი - ევროპა ნოსტრას ჯილდოც მოიპოვა. 2019 წლის გამარჯვებული 27 პროექტი ევროკომისიის და ევროპა ნოსტრას ჟიურიმ 34 ქვეყნის 149 განაცხადიდან შეარჩია. ციხე-სოფელი მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა კონსერვაციის კატეგორიაში გაიმარჯვა. ჟიურიმ აღნიშნა, რომ მუცოს რეაბილიტაციის პროექტი ეხმიანება მთის თემების დეპოპულაციის პრობლემას — გამოწვევას, რომლის წინაშეც მთელი ევროპა დგას.

რეაბილიტაციის პროექტი 2014-2018 წლებში საქართველოს მთავრობისა და ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა.

მუცო პირიქითა ხევსურეთში, გვიან შუა საუკუნეებში კლდეზე აგებული ციხე-კომპლექსია. საუკუნეების განმავლობაში ერთი მთლიანი სათავდაცვო სისტემა და ჩრდილოეთიდან საქართველოში მომავალი გზების დამცველი პოსტი იყო.

„ჩვენი მიზანია, სიმღერით გავაერთიანოთ საქართველო“...



გვ. 6

„ალარ შემიძლია ამ ჯოჯოხეთში ცხოვრება“

გვ. 7

C M Y K

გიორგი გახარია - ის, რაც გუშინ ვიხილეთ, არის მიზანმიმართული შეტევა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე

ის, რაც ჩვენ გუშინ ვიხილეთ, გახლავთ მიზანმიმართული შეტევა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

პრემირ-მინისტრმა მთავრობის სხდომა გუშინ საპატრიარქოში განვითარებულ მოვლენებზე გამოხმაურებით დაიწყო. გიორგი გახარიას თქმით, საქართველოს პატრიარქი არის სიმბოლო ეკლესიის და სიმბოლო სახელმწიფოებრიობის“.

„ის, რაც ჩვენ გუშინ ვიხილეთ, გახლავთ მიზანმიმართული შეტევა სახელმწიფოსა და ეკლესიაზე. რა თქმა უნდა, გარკვეული ჯგუფები, რომელთაც არ სურთ ქვეყნის წყნარი, მშვიდობიანი განვითარება, ცდილობენ, სხვადასხვა სახის პროვოკაციებით ზიანი მიაყენონ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს. ასეთი მცდელობა ჩვენ რამდენიმე ხნის წინ ვნახეთ, როდესაც რევოლუციურ სცენარს გვიგეგმავდნენ სახელმწიფოსა და მთავრობასთან მიმართებაში. დღეს, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს დესტრუქციული ქმედებებით შეიტანონ გაურკვევლობა ეკლესიაში. რა თქმა უნდა, ეს დაუშვებელია. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ საქართველოს პატრიარქი არის სიმბოლო ეკლესიის და სიმბოლო სახელმწიფოებრიობის და არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ვერც სახელმწიფოში და ვერც ეკლესიაში მსგავსი დესტრუქციული ქმედებებით რისკის ქვეშ დააყენონ ჩვენი ხვალინდელი დღე და ჩვენი შვილების ხვალინდელი დღე,“ - აღნიშნა პრემიერმა.

სოფო კილაძე - ჩემი შეფასებით, ეკლესიაზე და პატრიარქზე შტურმი მიდის - ეკლესიაზე ასეთი არეულობა და შეტევა დაუგეგმავად ვერ განხორციელდებოდა

ამ წუთში არ მაქვს ხელთ რამე კონკრეტული მტკიცებულება, მაგრამ ჩემი შეფასებით, ეკლესიაზე და პატრიარქზე მიდის შტურმი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მტრების ინტერესებში შეიძლება შედიოდეს, - ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძემ განაცხადა, რითაც საპატრიარქოს გარშემო განვითარებული პროცესები შეაფასა.

სოფო კილაძის განცხადებით, მსგავსი “არეულობა და შეტევები ეკლესიაზე” დაუგეგმავად ვერ განხორციელდებოდა.

“ერსაც და ბერსაც იმის ძალისხმევა და სულიერი სიძლიერე უნდა ჰქონდეს, რომ პრობლემებს გავუმკლავდეთ და ეკლესია, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ინსიტუტი ასეთ სკანდალებში არ იყოს გახვეული. არ მაქვს კონკრეტული მტკიცებულებები, მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი პროცესები, როგორც წესი, სპონტანურად არ ხდება. ასეთი პროცესების მიღმა კონკრეტული ძალები დგანან. რომელი ძალები არის ეს, ვერ გეტყვით. შეიძლება კონკრეტული მიმართულებით ვფიქრობდე, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ გავაჟღერებ, რადგან ამ ყველაფერს აქვს თავისი წესი და მტკიცებულება სჭირდება. თავს შევიკავებ კონკრეტული განცხადებისგან, მაგრამ მგონია, რომ ასეთი არეულობა და შეტევები ეკლესიაზე დაუგეგმავად ვერ განხორციელდებოდა”,-განაცხადა სოფო კილაძემ.

ჭყონდიდის ეპარქიის ახალი მიტროპოლიტი გრიგოლი მეუფე პეტრეზე - ჩავეხუტები მეუფეს და მადლობას გადავუხდი!

მიტროპოლიტი გრიგოლ კაცია, რომელიც ჭყონდიდის ეპარქიას პეტრე ცაავას ნაცვლად უხელმძღვანელებს, ეპარქიაში მივიდა.

მას ჭყონდიდის ეპარქიის ყოფილ მღვდელმთავართან ერთად მრევლი და სხვა სასულიერო პირები დახვდნენ.

„მშვიდობა, სიყვარული, მეგობრობა, პატიება“, - ასე მიესალმა მიტროპოლიტი გრიგოლი მარტვილის მამათა მონასტრის რეზიდენციაში შეკრებილ მრევლს, სასულიერო პირებს და ასევე აღნიშნა:

„ჩავეხუტები მეუფეს და მადლობას გადავუხდი“, - განაცხადა მღვდელმთავარმა გრიგოლმა.

ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე: სურდა თუ არა ჭყონდიდის ეპარქიის ხელმძღვანელობა, მიტროპოლიტმა განმარტა, რომ ის სოხუმის ეპარქიისთვის ემზადებოდა.

„მთავარი შეკითხვა ის არის, რომ მესამე წელი მეუფე პეტრესთან იყო ასეთი საუბარი, რომ მივიდეს პატრიარქთან და შენდობა სთხოვოს. მესამე წელი ასე ვთქვათ, მეუფე პეტრესთან იყო ერთი გაფრთხილება, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და უკვე“... - განაცხადა მიტროპოლიტმა გრიგოლმა.

პატრიარქის ბრძანებით პეტრე ცაავა შიომღვიმის მონასტერში გამწესდა

საპატრიარქომ გამოაქვეყნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დღეს, 1 ნოემბერს, ხელმოწერილი ბრძანება:

„ამა წლის 31 ოქტომბრის წმინდა სინოდის განჩინებით, მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) გათავისუფლდა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველობიდან და წმინდა სინოდის წევრობიდან და გამწესდა მონასტერში. მონასტრის ადგილად განესაზღვროს შიომღვიმე“.

სინოდის განჩინებით, „მიტროპოლიტ პეტრეს, მოციქულთა 55-ე კანონის საფუძველზე (სადაც ნათქვამია, რომ მკაცრად ისჯება სასულიერო დასის წევრი (კლერიკოსი), [1] რომელიც შეურაცხყოფს საკუთარ ეპისკოპოსს) აეკრძალოს მღვდელმოქმედება, განთავისუფლდეს ეპარქიის მმართველობისა და წმინდა სინოდის წევრობისაგან და გამწესებულ იქნას მონასტერში მოსანანიებლად“.

სინოდის გადაწყვეტილებითვე, ჭყონდიდის ეპარქიის დროებით მმართველად დაინიშნა წალკელი ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია).

სინოდის სხდომა დასრულებამდე დატოვა მეუფე პეტრემ. „წმინდა სინოდმა მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, პირადად პატრიარქმა, სინოდის თავმჯდომარემ, მე მიმაჩნია, რომ უსამართლოდ განმაყენა მღვდელმთავრობიდან. მე ვფიქრობ, მიზეზი არის საქართველოს ეკლესიაში პიდარასტიის მხილება, მამათმავლობისა და პიდარასტული ცოდვის მხილება“, - განაცხადა მეუფე პეტრემ. ჟურნალისტების შეკითხვას, ამით ვინ ამხილა, უპასუხა, რომ სინოდის თავმჯდომარე.

ანდრია ჯაღმაიძე: იაკობის განცხადება გამოყენებული იყო ეკლესიის ირგვლივ მძაფრი სიუჟეტის ასაგორებლად

საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ არ იცის, დაინიშნება თუ არა სინოდის მორიგი სხდომა. მისი სიტყვებით, სინოდის შეკრებას განსაზღვრავს პატრიარქი, თუმცა მისთვის უცნობია, აპირებს თუ არა იგი სხდომის მოწვევას.

ჟურნალისტებთან საუბარში დეკანოზმა განმარტა მეუფე პეტრეს ამჟამინდელი სტატუსიც.

„ის არის დროებით შეჩერებული მღვდელმსახური. ეს საპატრიარქოს ოქმის წაკითხვისას ჩანდა. ჯერჯერობით ეს ასეა“, - განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ.

მისი სიტყვებით, არ იცის, სად შეიძლება ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ასეთის სურვილის შემთხვევაში.

„სინოდი არის ამ შემთხვევაში უმაღლესი ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრდეს. ეს სინოდის გადაწყვეტილებაა და მე არ ვიცი, სად შეიძლება გასაჩივრდეს“, - უპასუხა დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ ჟურნალისტებს.

ანდრია ჯაღმაიძემ პატრიარქისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შესახებ თქვა, რომ ვინაიდან გიორგი გახარია გუშინ საქართველოში არ იმყოფებოდა, მან პატრიარქი დღეს მოინახულა.

„მოინახულა. მოკითხვა იყო ეს, უბრალოდ მხარდაჭერის და საკუთარი დამოკიდებულების გაცხადება“, - აღნიშნა ანდრია ჯაღმაიძემ.

ანდრია ჯაღმაიძეს ჰკითხეს მეუფე იაკობთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებაც და იმაზეც, იყო თუ არა სინოდის სხდომაზე საუბარი იაკობის განცხადების შინაარსთან მიმართებით.

„მან სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი ფორმით განაცხადა, ის რაც განაცხადა და შინაარსი, მე როგორც მახსოვს, მან გაიმეორა, რომ ისევ იგივე აზრზეა და უკან არ მიაქვს თავისი სიტყვები. ქრისტიანული ცხოვრების წესი აგებულია გულწრფელობასა და შენდობის პოვნაზე, ადამიანს როდესაც ჰგონია, რომ მართალია, ის შენდობას არ ითხოვს, მაგრამ როდესაც ადამიანს შეუძლია შენდობის თხოვნა, ეს ქრისტიანული სულისკვეთების გამოვლინებაა, ამიტომ ეკლესია ამას იწყნარებს“, - განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ.

მისი სიტყვებით, მეუფე იაკობის განცხადება გამოყენებული იყო ეკლესიის ირგვლივ მძაფრი სიუჟეტის ასაგორებლად.

„ბევრი სხვადასხვა ძალა საკუთარი პოზიციების გამოვლენისათვის იყენებდა ამ ინციდენტს, ამ შემთხვევას, ამიტომ, თუ ამას გულისხმობთ, ვფიქრობ, რომ ვიღაცა ყოველთვის იყენებს ამას. მე ვნახე ბევრი ადამიანი, რომლებიც იწყებდნენ ამ თემით და ამთავრებდნენ საკუთარი თავის წარმოჩენით და იკვეთებოდა ძალიან ბევრი კერძო ინტერესი“.

ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) 26 ოქტომბერს „TV პირველის“ ეთერში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია და ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი პატრიარქის გადაყენების მცდელობაში დაადანაშაულა.

მოგვიანებით, 28 ოქტომბერს, მთავარეპისკოპოსმა იაკობმა პატრიარქის ქორეპისკოპოსის თანამდებობა დატოვა. საპატრიარქომ გამოაქვეყნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანებაც, პირადი თხოვნის საფუძველზე, პატრიარქის ქორეპისკოპოსისა და საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

ანდრია ჯაღმაიძის განმარტებით, დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალებასთან დაკავშირებით სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის დაკავშირებული შიშთან, რომ რაიმე არ გამომჟღავნდეს, და ვინც მსგავს განცხადებას აკეთებს, რეალურად, სწორედ მათ ურჩევნიათ მამალაძის ციხეში დარჩენა.

„თითქოს საპატრიარქო იღებს გადაწყვეტილებას რაღაცის გაუთქმელობის საფასურად, როგორ ფიქრობთ, ეს განცხადება ემსახურება თუ არა მამალაძის გათავისუფლების ინტერესებს, თუ პირიქით? არიან ძალები, რომლებსაც აინტერესებთ, მამალაძე იყოს ციხეში და საპატარიარქოს მუდმივად უხდებოდეს ამაზე საუბარი“.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებაში აღნიშნულია, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს სინოდი შეწყალების თაობაზე პრეზიდენტთან უშუამდგომლებს.

საპატრიარქოს წმინდა სინოდის სხდომა 31 ოქტომბერს გაიმართა. მას ესწრებოდა 42 მღვდელმთავარი. სინოდმა დეკანოზ მამალაძის პრეზიდენტთან შუამდგომლობის გარდა, მღვდელმთავრობიდან გაათავისუფლა ჭყონდიდის მიტროპოლიტი პეტრე და მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი საქციელის გამო გაფრთხილება მისცა ბოდბელ ეპისკოპოს იაკობს.

არასრულწლოვნის გაუპატიურება უვადო თავისუფლების აღკვეთით დაისჯება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრებასა და მათთვის გარკვეული უფლებების ჩამორთმევას ითვალისწინებს.

კერძოდ, ამ ცვლილებების თანახმად, არასრულწლოვნის გაუპატიურება უვადო თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, არნიშნულ პროექტს პარლამენტმა მესამე მოსმენით უკვე დაუჭირა მხარი.

გარდა ამისა, შეიქმნება სქესობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირთა ბაზა, რომლის მიზანი იქნება სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა კონტროლი და მათი მხრიდან მოსალოდნელი სექსუალური ძალადობისგან არასრულწლოვნების დაცვა. აღნიშნულ პროექტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე დაუჭირა მხარი.

სამინისტროში შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. კოორდინატორები პრიორიტეტულად მუშაობენ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან და ეხმარებიან დანაშაულის შედეგად გამოწვეული პირველადი სტრესის გამკლავებასა და შესაბამისი სერვისებით სარგებლობაში.

შსს-ს სტატისტიკის თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის საქმეებში ყველაზე მეტად ჭარბობს გარყვნილი ქმედებისა და სრულწლოვნის მიერ 16 წლის ასაკს მიუღწეველთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის შემთხვევები.

უწყება მიმართავს მოსახლეობას, ბავშვების მშობლებს და ყველა იმ პირს, ვისთვისაც ცნობილი ხდება არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სქესობრივი დანაშაულის შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, რათა მოხდეს დანაშაულზე დროული რეაგირება.

ანგარიში- საზოგადოებას!

ბიუჯეტი მოსახლეობის საჭიროებებზეა გათვლილი

რა გაკეთდა 2019 წელს, რა ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის სამუაოები განახორციელა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოსთან ერთად?-სწორედ ამ კითხვაზე გასცა პასუხი 31 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომელმაც დაინტერესებულ საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა.

მან ვრცლად მიმოიხილა დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ითვალისწინებს მოსახლეობის აზრს და ბიუჯეტიც სწორედ ხალხის საჭიროებებზეა გათვლილი.

დედოფლისწყაროში საგზაო ინფრასტრუქტურა სრულად მოეწყო. ქალაქ დედოფლისწყაროსა და ბევრ სოფელში, აღარ დარჩა ქუჩა, რომელიც არ მოასფალტდა. გზების რეაბილიტაცია გაგრძელდება მომავალ წელსაც და ის მუნიციპალიტეტის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე სოფლებსაც მოიცავს, კერძოდ, დაგეგმილია 12 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მოასფალტება სოფელ საბათლოს ჩათვლით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მხრივ, დედოფლისწყარო ფლაგმანია არა მარტო კახეთის რეგიონში...

საჯარო სკოლებზე ზრუნვა გადმოვიდა მუნიციპალიტეტებზე, რაც მისასალმებელია. ბუნებრივია, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გაცილებით იოლი სამართავია ის სკოლები, რომლებიც მათ ადმინისტრაციულ ერთეულშია მოქცეული, ვიდრე განათლების სამინისტროსთვის ყველა სკოლა... თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ მან უკეთესად იცის სკოლების საჭიროებების შესახებ და მათი პრობლემებისა მოგვარებაც მოკლე დროში შეუძლია.

მოგეხსენებათ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტულია საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე ზრუნვა. ამისი დასტურია უამრავი რეაბილიტირებული სკოლისა თუ ბაღის შენობა. რეაბილიტაციის პარალელურად მიმდინარეობს ახალი სკოლების მშენებლობაც იქ, სადაც ამისი საჭიროებაა.

საბავშვო ბაღებში უამრავი არსებული პრობლემა მოიხსნა. აქ გადასახადის გაუქმებამ აღსაზრდელთა და აღმზრდელთა კონტიგენტი მნიშვნელოვნად გაზარდა. როგორც სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებებმაც აჩვენა, დედოფლისწყაროს ბაღებში არსებული მდგომარეობა შესაბამისობაშია არსებულ სტანდარტთან, თუმცა, დროის ცვლილებასთან ერთად მოთხოვნებიც იზრდება და, ბუნებრივია, ჩვენც უნდა ავყვეთ ამ პროცესს. ერთ-ერთი მტკივნეულ თემად რჩება ბაღის თანამშრომელთა დაბალი ხელფასები. ამასაც მოევლება, თუმცა, არა უცებ. სულ ახლახანს შევიტყვე დადასტურებული ინფორმაცია, რომ სოფელ ხორნაბუჯის ბაღის მშენებლობაზე გამოცხადდა ტენდერი და 2020-ში სოფელს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი ექნება.

ბევრი კულტურული ღონისძიება ჩატარდა დედოფლისწყაროში. ჩვენი სურვილია, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი „პურის ფესტივალის“ მასპინძელიც გახდეს. 10 ნოემბერს კი მირზაანში კვლავ აღვნიშნავთ „ფიროსმანობას“ და კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს გენიოსს, რომელმაც მსოფლიო აალაპარაკა.

წელს ჩვენმა სპორტსმენებმაც გვასახელეს. ყველაზე გამორჩეულ წარმატებას ლაშა ბექაურმა მიაღწია, რომელიც მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში სხვადასხვა პროექტები განხორციელდა. სოფლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია სოფლის ამბულატორია. რაიონულ საავადმყოფოში მისვლამდე ადამიანს პირველადი დახმარება სწორედ ამბულატორიამ უნდა აღმოუჩინოს. ასევე, სოფლის ამბულატორიებში დასაქმებული მედპერსონალი ახორციელებს ბავშვთა ვაქცინაციას. ბევრ სოფელში განხორციელდა ამბულატორიების რეაბილიტაცია და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება.

ბიუჯეტის პრიორიტეტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავარი აქცენტი კვლავ გაკეთდება მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა 2019 წლის ანგარიში შეაფასა: „2 საატის განმავლობაში დედოფლისწყაროს მერი ჰყვება გაკეთებულ საქმეებზე. მოსმენით დავიღალეთ და წარმოიდგინეთ, იმის უკან რა დგას. საუკუნეზე მეტია, ქედსი ვცხოვრობთ და პირველად უნდა აინთოს გაზი, საბათლო არის ყველაზე მოშორებული ადგილი საქართველოში და ახლა უკვე ისეთი გზაა, რომ ორი დღის წინ ვიყავი და ისევ სიამოვნებით წავალ იქ... დანარჩენზე აღარ ვლაპარაკობ, რაც გაკეთდა და მომავალშიც გაკეთდება. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენ ერთად ვმუშაობთ, არის მომენტები, როცა ჩვენ კრიტიკულადაც ვართ განწყობილნი, მაგრამ სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ძალიან ნიჭიერი მერი გვყავს. რაც შეეხება კრიტიკას- თქვენთან ერთად ვინაწილებ იმ კრიტიკას, რაც არსებობს საზოგადოებაში,მაგალითად, მაწანწალა ძაღლების, წყლის საკითხებთან დაკავშირებით. იმედი მაქვს, ეს პრობლემებიც წარსულს ჩაბარდება ჩვენი, ყველას ერთობლივი ძალისხმევით “-აღნიშნა ნუგზარ პაპიაშვილმა.

ინგა შიოლაშვილი

ღია შეხვედრებზე დასახელებულ პრობლემებს მყისიერი რეაგირება მოჰყვა

2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები დედოფლისწყაროელ მოსახლეობასთან დასრულდა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდნენ და არსებულ საჭიროებებს ადგილზე გაეცნენ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, ოპერატიული რეაგირება მოჰყვა მოსახლეობის მიერ წამოყენებულ არაერთ პრობლემატურ საკითხს. კერძოდ:

- სოფელ მირზაანის საჯარო სკოლაში მოგვარდა არასაკმარისი წიგნებისა და რვეულების პრობლემა.
- სოფელ ოზაანში დაიწყო საჯარო სკოლისაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია.
- ოზაანში ასევე დაწყებულია გარე განათების მონტაჟი.
- სოფელ არხილოსკალოში დაწყებულია და აქტიურ ფაზაშია გარე განათების მონტაჟი.
- ადგილობრივი ხელისუფლებისა და სასაზღვრო დეპარტამენტის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობისთვის მდინარე ალაზნის სანაპიროზე გამოიყო სათევზაო ადგილები.
- სოფელ ფიროსმანში უმოკლეს ვადაში მოგვარდა სათბობი შეშის პრობლემა.
- სოფელ საბათლოში ასევე მოგვარდა სათბობი შეშის პრობლემა.
- საბათლოში მომავალ წელს აშენდება საბავშვო ბაგა-ბაღი.
- საბათლოში მომავალ წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება საჯარო სკოლის გარე ფასადს.
- ასევე მომავალ წელს საბათლოს საჯარო სკოლაში მოწესრიგდება სველი წერტილები.



ღია შეხვედრებზე მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაზე მუშაობა აქტიურ რეჟიმში გრძელდება.

მოგზაურობა სოფელ რკონის მიდამოებში

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი სამსახურის თანამშრომლები: მაია ბაიდოშვილი, გიორგი კიკილაშვილი, მისი მეუღლე დალი ელისაშვილი და მე, მანანა იაკობიშვილი, წელიწადში 4-5-ჯერ მაინც ვახერხებთ საქართველოში მდებარე სასულიერო და ისტორიული ადგილების მოლოცვა-დათვალიერებას. მოგზაურობის მთავარი მიზანია ჩვენი ეროვნული ღირებულებების უკეთესად აღქმა და პოპულარიზაცია. ამჟამად არჩევანი შეჩერდა თეძამის ხეობაში განთავსებულ ძეგლებზე. სოფელი რკონი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, ცნობილ სოფელ ერთაწმინდიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 15 კილომეტრში. სოფელ ერთაწმინდაშია წმინდა ევსტატეს სახელობის მე -12 საუკუნის ტაძარი, სადაც დაკრძალულია პაატა საakაძის მოკვეთილი თავი. ამ ტაძარს ასევე უკავშირდება შაჰ-აბას II-ის ამბავი: ერთ-ერთი ლაშქრობისას (დაახლოებით 1655-1656 წლებში) იგი სპეციალურად დაიძრა ამ ტაძრისკენ, რადგან იცოდა, რომ მისი დიდი პაპის – შაჰ-აბას I-ის მიერ პაატა საakაძის მოკვეთილ თავს ქართველები წმინდად ინახავდნენ ამ ტაძარში და გასცა ბრძანება ტაძარი მთლიანად დაეშალათ. მაგრამ მალე ჩამობნელდა და მხოლოდ ტაძრის დასავლეთის მხარეს მდებარე კარის წინ არსებული შესასვლელის სახურავის აყრა მოასწრეს. შაჰ-აბასმა გადაწყვიტა სამუშაოები მეორე დღისთვის განეახლებინათ. შუაღამისას იგი იღვიძებს შეშფოთებული, იბარებს ლაშქარში მყოფ სასულიერო პირს და უყვება შემდეგს: ახოვანი ვაჟკაცი, რომაულ ტანსაცმელში გამოწყობილი ხმლის მოქნევით ემუქრებოდა სპარსეთის მბრძანებელს, თუ იგი ხელს არ აიღებდა თავის განზრახვაზე. შეძრწუნებულმა მოლამ ვერაფერი ახსნა ვერ მოუძებნა ამ ხილვას და შესთვაზა ამავე ტაძარში მოღვაწე დაპატიმრებული ბერი ეხმოთ. ბერმა გულდასმით მოისმინა შაჰ-აბასის ნაამბობი და წარუძღვა ტაძარში, რომ ეჩვენებინა ერთ-ერთ ხატზე გამოსახული პიროვნება. შაჰ-აბასმა შეხედა თუ არა წმინდა ევსტატეს ხატს, დაემხო და შენდობა სთხოვა წმინდანს, რომელშიც შეიცნო ღამით ხილვაში ნახული რომაელი მეომარი. ამის შემდეგ შაჰ-აბასმა ბრძანა ტაძრის დაზიანებული სახურავი შეეკეთებინათ, ტაძარს ძღვნად გადასცა თავისი მოოქროვილი ხმალი ქარქაშით (მე-19-ე საუკუნეში ეს ხმალი რუსეთში იქნა გატანილი, როგორც ბევრი საეკლესიო საგანძური) და უბრძანა ლაშქარს სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქართლის ეს ტერიტორია, რამეთუ მან აქ რეალურად შეიცნო ღვთის ძალა.

ერთაწმინდიდან სოფელ რკონამდე გზა მოხრეშილია, თუმცა, არის ადგილები, სადაც დაბალი გამავლობის ტრანსპორტს გაუჭირდება გადაადგილება. ერთაწმინდა-რკონის გზაზე (დაახლოებით მეხუთე კილომეტრი) მდებარეობს სოფელი ჩაჩუბეთი. იგი საბჭოთა პერიოდში ცნობილი იყო როგორც საagარაკე ადგილი. აქ თითქმის 50-ზე მეტ ოჯახს აქვს დასასვენებელი კოტეჯები და სასიხარულოა, რომ ზაფხულ -შემოდგომის პერიოდში ეს სივრცე მთლიანად გაცოცხლებულია. სოფლის ცენტრში დგას შუა საუკუნეებში აშენებული წმინდა გიორგის სახელობის ნავ-გუმბათოვანი ტაძარი...

სოფელი რკონი მცირედ დასახლებულია, თუმცა, შეინიშნება საოჯახო სასტუმროების მშენებლობის ტენდენცია. აქაური ძირძველი მოსახლეები, ბარნაბიშვილები, ლაფერაშვილები და სხვა, მე-17 საუკუნეში გადასახლებულან ქალაქ კასპითან ახლოს და დაუარსებიათ სოფელი ბარნაბიანთკარი, ხოლო მე-18 საუკუნეში სოფელ რკონში ჩასახლებულა მთიულეთის მოსახლეობა (აფციაურები, წიკლაურები) და რამოდენიმე ოსი ეროვნების ოჯახი. სოფელ რკონს ჩამოუდის მდინარე თეძამი. მდინარის ხეობა ვიწროა და მის ნაპირებთან გაშლილი მინდვრები საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისთვის. სოფელ რკონიდან მდინარის გადაკვეთის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, იწყება ნათელი ტყის მასივი და იქ არსებულ ბილიკს თუ გავუყვებით 1,5 კილომეტრში მივადგებით რკონის სამონასტრო კომპლექსს, რომლის ძირითადი ნაგებობები მე-7 საუკუნით თარიღდება. თვითონ კომპლექსში შედის ორი ტაძარი, ორივე (მარიამ ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის სახელობის) ნავგუმბათოვანია. ტაძრების კედლები შენახულია, ჭერი კი სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. მონასტრის დამხმარე ნაგებობების სიმრავლე და მაშტაბები შთამბეჭდავია: სათავსოები, მარანი, მიწისქვეშა გვირაბები ნათლად მიგვითითებს ჩვენი წინაპრების სულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე. კომპლექსიდან გზას თუ გავაგრძელებთ სამხრეთ-დასავლეთით, 100-150 მეტრში მივადგებით ე.წ. „თამარის ხიდს“ - თაღოვან ხიდს. ხიდი ქვისაგანაა ნაშენი სიგანით 1,5 მეტრი, იგი ტიპიურად წარმოდგენელია თამარის მეფობის ხანაში აგებული თაღოვანი ხიდებისა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხიდი მდებარეობს ჰერეთში, ქალაქ კახის ჩრდილოეთით მთებისკენ მიმავალ გზაზე. მდინარის მარცხენა ნაპირიდან (ხიდთან) თუ გავიხედავთ ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მეტრის სიმაღლეზე, მთის წვერზე შევნიშნავთ ნაგებობას, რომელსაც წმინდა სვიმეონის სვეტს ეძახიან. სვეტი სამსართულიანია და რესტავრირებულია, გარშემო ერთი მეტრის სიმაღლის ქვის გალავანი აქვს შემოვლებული, სვეტთან მიმავალი ბილიკი ნებისმიერი ასაკის ადამიანს აძლევს მისვლის საშუალებას.





სოფელ რკონიდან მდინარის გადაკვეთის შემდეგ თუ წავალთ ჩრდილო-დასავლეთისკენ, მივადგებით მთის ძირს, რომლის შუაწელზე მდებარეობს რკონის ციხე. რკონის ციხე — არქიტექტურული, ისტორიული და მონუმენტური ხელოვნების ძეგლია. იგი მაღალი მთის ფერდობზეა გაშენებული. მას სამხრეთიდან მდინარე თეძამი ჩამოუდის. ციხე თარიღდება XII საუკუნის შუა ხანებით. კომპლექსში შედის: გალავანი, ეკლესია, კოშკი, სადაზვერვო კოშკი და სასახლე. რკონის ციხის კომპლექსი მეტად რთულრელიეფიან მთაზეა აგებული, მისი დასავლეთი ნაწილი შედარებით შევაკებულ ადგილზე დგას, აღმოსავლეთისა კი — თითქმის ციცაბო ფერდობზე. შიდა ტერიტორია მოსწორებული არ არის. ციხე მთლიანად ნაგებია ნატეხი ქვით. გალავანი საკმაო სისქისაა, სიმაღლით 5 მეტრი, გალავანს აქვს ორი შესასვლელი, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით. კედლები გამაგრებულია კონტრფორსებით (სამაგრი კონსტრუქცია). შიგნით გალავანი ორიარუსიანია. საბრძოლო ბილიკი ხისა ყოფილა. გალავნის ქვედა ნაწილი ყრუა, ზედა იარუსზე კი სათოფურებია. ეკლესია დარბაზულია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აღმოსავლეთით აფსიდში, და დარბაზის სამხრეთ და დასავლეთ კედლებში თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია ორ შეკიდულ თაღზე დაყრდნობილი კამარით. კედლებზე შერჩენილია მოხატულობის კვალი. იგი თარიღდება XIII საუკუნის II ნახევრით. აფსიდის კონქში ჩანს ვედრების კომპოზიციის ნაწილი. მომდევნო რეგისტრში ზიარების კომპოზიციაა წარმოდგენილი. მხატვრობის ფერებში ჭარბობს ზურმუხტისფერიმწვანე. ეკლესიის ფასადები ნატეხი ქვითაა ნაგები. წყობაში გამოყენებულია XII-XIII საუკუნეების პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმიანი ქვები. კოშკი დგას გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყველაზე მაღალ ადგილას. მისი სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები კლდეს ეყრდნობა, ხოლო დანარჩენი ორი - მასიურ კედელს. ქვედა სართულის იატაკი ხის კოჭებზე ყოფილა დაგებული. კედლებში დატანებულია ბუხრები და სათოფურები. სადაზვერვო კოშკი დგას ციხის ზემოთ, მთის წვერზე. მისი გეგმა კვადრატს უახლოვდება. შემორჩენილია სამი სართული: პირველი ყრუა, მეორის კედლებში სათოფურებია, მესამე დაზიანებულია. სასახლე დგას ციხის ეზოში. შემორჩენილია სამსართულიანი ნაგებობის ნანგრევები. პირველ სართულზე ორი კარი, ბუხარი და სამეურნეო დანიშნულების ნიშებია, მეორეზე — ნიშები და ბუხარი; მესამე სართულის კედლები ძლიერ დაზიანებულია, ჩანს მხოლოდ კარი.

სოფელი რკონიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 2,2 კილომეტრში მდებარეობს იკვის ულამაზესი მონასტერი – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. თვით სოფელი იკვი აღარ არსებობს, მოსახლეობა გადასახლდა სამგორში. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის თაღის ქვეშ, ნიშის მარცხნივ ფილაზე აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება და ასომთავრული წარწერაა, რომელშიც ნახსენებია ქტიტორი მამამთავარი არსენი. წარწერის პალეოგრაფიული და ნაგებობის სტილისტური ანალიზით ეკლესია თარიღდება XI საუკუნის პირველი ნახევრით. საინტერესოა, რომ 1939-1940 წლებში (კომუნისტების მმართველობის პერიოდი) ეკლესიაზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებიათ, რის შედეგადაც აღუდგენიათ ტაძრის ფასადი და გუმბათის ყელი., ნაგებობას სამხრეთით შეუქმნეს სუბსტრუქცია- ჩრდილოეთით მთის ფერდობი კედლით გაამაგრეს. ამიტომაც ეს ტაძარი დღეისათვის კარგ მდგომარეობაშია. წაგრძელებული ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ტაძარი ნაგებია სუფთად გათლილი (კვადრატული ფორმა) ქვით. აღმოსავლეთ ნაწილში არის სამკვეთლო და სადიაკვნე. გუმბათის ყელის დასაყრდნობად აფრებია გამოყენებული. ინტერიერში ნათლად იკითხება ჯვრის ფორმა, ოთხივე ფასადი შემკულია ორმაგლილვიანი თაღების სისტემით. ტაძარს აქვს ფართო მოჩუქურთმებული საპირეები და ტიმპანებით შემკული ორი შესასვლელი. ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები XI საუკუნეს მიეკუთვნება.

ასე დამთავრდა ჩვენი ერთდღიანი მოგზაურობა. შეიძლებოდა ამ მონათხრობში უკეთესად გადმოგვეცა საკუთარი შთაბეჭდილებები, მაგრამ ისინი უფრო სუბიექტურს გახდიდნენ ჩვენს ნაამბობს, ამიტომ, შევეცადეთ, მაქსიმალურად ობიექტურები ვყოფილიყავით და არსებული რეალობა გადმოგვეცა თქვენი გაზეთის მკითხველისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რკონის მიდამოებს უკვე საკმაოდ ბევრი სტუმარი ჰყავს და მითუმეტეს სასიამოვნოა, რომ სკოლის ასაკის ბავშვების სიმრავლე თვალშისაცემია.

მანანა იაკობიშვილი

ნაადრევი ქორწინება, როგორც აქილევსის ქუსლი

„ბავშვის გაჩენის გარდა, ყველაფერს შევცვლიდი. ალბათ, ჩემს კარიერას მივხედავდი უფრო მეტად. ჩემს თავს დავუთმობდი უფრო მეტ დროს“ -წერს ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი თბილისიდან.

ნაადრევი ქორწინება საქართველოსთვის უცხო არ არის. ეს ის აქილევსის ქუსლია, რომელსაც ვერაფრით ვუშველეთ და ვერც ვერაფრით მივდივართ ერთ, მართებულ გადაწყვეტილებამდე. ნაადრევი ქორწინება საქართველოში იშვიათი და გასაკვირი არ არის და სხვა ფაქტორებთან ერთად, გენდერულ უთანასწორობასაც უკავშირდება. ამასთან, მისი გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია და განსხვავდება რელიგიური, ეთნიკური თუ რეგიონალური ფაქტორების მიხედვით. შესაბამისად, ეს პრობლემას კომპლექსურს ხდის და მისი მოგვარების გზებსაც არაერთგვაროვანს წარმოგვიდგენს.

მანამ, სანამ უშუალოდ პრობლემას აღვწერთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ითვლება ნაადრევ ქორწინებად. ადრეული, ანუ ნაადრევი ქორწინება არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია, ანუ ბავშვია. ადრეული ქორწინება მიჩნეულ უნდა იქნას, ზოგადად - ადამიანის უფლებების და კერძოდ - ბავშთა უფლებების დარღვევად, რადგან ითვლება, რომ ბავშვს გააზრებული თანხმობის მიცემა არ შეუძლია. ადრეული ქორწინება გენდერულ ჭრილში განსახილველი ფენომენია- ის განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. ზოგადად, მსოფლიოში ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა გოგონებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. არსებული მონაცემებით, 20-24 წლის ასაკის ქალთა 14 % აღნიშნავს, რომ ოჯახი 18 წლის ასაკამდე შექმნა. ვაჟებში ხუთჯერ უფრო ნაკლებია ადრეული ქორწინების შემთხვევები. ადრეული ქორწინების საქართველოს მაჩვენებელი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. აქედან გამომდინარე, თუკი გავითვალისწინებთ არარეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რიცხვი გაცილებით მაღალია.

ადრეული ქორწინების შემთხვევაში, როგორც ბიჭები, ისე გოგონები ხშირად იძულებული არიან, შეწყვიტონ განათლების მიღება სკოლაში, დაიწყონ მუშაობა და/ან დაკავდნენ საოჯახო საქმეებით. საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები და პროგრამები ყურადღებას ამახვილებენ ადრეულ ქორწინებაზე. ეს ინსტრუმენტები მოიცავენ: კონვენციას ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ (1962); კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979); ბავშვის უფლებათა კონვენციას (1989) და პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმას (1995), რომელიც ერთვის გაეროს ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას. ეს საერთაშორისო ინსტუმენტები ეხება აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღმოფხვრა, გოგონებზე ძალადობა, ქორწინებაზე თანხმობა, მინიმალური საქორწინო ასაკი, ქორწინების რეგისტრაცია და მეუღლის არჩევის თავისუფლება. საქართველო გაეროს ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასა და ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. თეორიულად, ეს საერთაშორისო ინიციატივები, სახელმწიფო კანონმდებლობასთან (სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, აგრეთვე კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ (2006) ერთად, უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას. მაგრამ პრაქტიკულად, იმპლემენტაციის მექანიზმების, სტრატეგიებისა და მონიტორინგის არარსებობა ან გაუმართაობა ამ ინსტრუმენტებს უშედეგოს და არაეფექტურს ხდის.

საგანგაშო შედეგებია ასახული გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებული ბოლოდროინდელ კვლევაში. UNICEF-ის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით გოგონა ქორწინდება მანამ, სანამ ისინი ზრდასრულ ასაკს, 18 წელს მიაღწევენ. გამოქვეყნებული მონაცემებიდან ვიგებთ, რომ ყველაზე მეტი არასრულწლოვანის ინდოეთში ქორწინდება, სადაც 15 მილონზე მეტ გოგონას ადრეულ ასაკში უწევს ოჯახის შექმნა. შემდგომ მოდის ბანგლადეში 4,451,000 მილიონი გოგონათი. სიაში მოხვდნენ ბრაზილია და მექსიკაც, სადაც აღნიშული გოგონების რიცხვი რამდენიმე მილიონს აჭარბებს. რაც შეეხება საქართველოს, არსებული შეზღუდული მონაცემები რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ადამიანის უფლებებზე ჩატარებული კვლევებით შემოიფარგლება და ხშირად მათ ირიბ შედეგს წარმოადგენს. 2012 წლის მონაცემებით ადრეული ქორწინების რიცხვი 30 412 შეადგენდა. თუმცა, აღნიშული ციფრი ვერ იქნება იმ სინამდვილესთან ახლოს, რადგან მსგავსი ტიპის კავშირები, ძირითადად, ოფიციალური სტრუქტურების გვერდის ავლით ხდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქვეყანაში ქორწინება 18 წლის ასაკიდანაა დაშვებული. 2016 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა წესი, რომლის თანახმადაც,16 წელს მიღწეულ პირთა ქორწინება მშობლების თანხმობით დაიშვებოდა. კანონმდებლობაში ეს ცვლილება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციით იქნა შეტანილი. სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან სისხლის სამართლის დანაშაულია და დამნაშავე ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით, რომელიც 7-დან 9 წლამდე პატიმრობას გულისხმობს და ამ შემთხვევაში, ცხადია, ოჯახის შექმნის განზრახვა გამამართლებელ მიზეზად არ ითვლება. ასევე ისჯება იძულებითი ქორწინება. აქ სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლი განსაზღვრავს. 2018 წელს ჩატარებული კვლევების შემდეგ, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, ლაილა გადი, ყურადღებას ამახვილებდა მოზარდების განათლებასა და, ამ თვალსაზრისით, ადრეული ქორწინების ნიადაგზე წარმოქმნილ პრობლემებზე:

„18 წლამდე ქორწინება საფრთხეს უქმნის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით გარანტირებულ მთელ რიგ უფლებებს. განათლებას უდიდესი როლი აქვს როგორც ბიჭების, ისე გოგონების წარმატებული მომავლისთვის და ადრეული ქორწინების გადავადების საფუძველიც ხდება. განათლება ცვლის ქალებისა და მამაკაცების მიერ საკუთარი როლებისა და პოტენციალის შესახებ ხედვას. საზიანო პრაქტიკისა და სოციალური ნორმების ცვლილება ასევე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საქართველოში ყველა ბავშვს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა ჰქონდეს და დაცული იყოს ძალადობისგან. ასევე უნდა დაიწყოს და გააქტიურდეს საჯარო დიალოგი იმისათვის, რომ საზოგადოებამ აღიაროს და გააცნობიეროს ადრეული ქორწინების უარყოფითი გავლენა“.

გამოცემა, რომელიც მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, იმ კითხვებზე სცემს პასუხს, რომელიც ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ ბევრ მნიშვნელოვან კითხვას სცემს პასუხს:

რა პრობლემებთან არის დაკავშირებული ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება? ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. თუმცა, ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებას გოგონებისთვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგები მოაქვს და უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა თუ შემდგომ განვითარებაზე. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შედეგად გამოწვეულ პრობლემებს შორისაა:

ჩაგვრა და ოჯახში ძალადობა: ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი მოზარდი გოგონები, როგორც წესი, ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობენ და ხშირად მათზეა დაკისრებული მათი ასაკისათვის შეუფერებლად მძიმე ტვირთი - როგორიცაა ოჯახის წევრების (ოჯახის ავადმყოფი წევრის, ბავშვის, მოხუცის და ა.შ.) მოვლა, საჭმლის მომზადება, სახლის მოვლა (სახლის დალაგება, სარეცხის გარეცხვა და ა.შ.). ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ზეწოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ოჯახში ძალადობის ძირითადი ტიპებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს და ტანჯვას), ფსიქოლოგიური ძალადობა (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება), ეკონომიკური ძალადობა, იძულება, სექსუალური ძალადობა.

ორსულობა მოზარდობის ასაკში: ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი გოგონების გამოცდილება აჩვენებს, რომ ისინი არიან ერთგვარი ზეწოლის ქვეშ - გააჩინონ შვილი რაც შეიძლება მალე, რათა გაამართლონ საზოგადოების თუ ოჯახის მოლოდინები. მოზარდობის ასაკში ორსულობა საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ არ არის მზად ორსულობისა და ბავშვის გაჩენისთვის და მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებების რისკი. მოზარდ გოგონებში, ორგანიზმის უმწიფრობის გამო, ხშირია ნაადრევი მშობიარობა, სამშობიარო ტრავმა და ინფიცირება, რაც შემდგომში მათი ავადობის და უნაყოფოობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ორსულ მოზარდებს შორის უფრო მეტად არის გავრცელებული ანემია, რაც რკინის მზარდი მოთხოვნილების შედეგია. მოზარდობის ასაკში ორსულობასთან და მშობიარობასთან ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთი გართულებები, როგორიცაა ჩვილ ბავშვთა სიკვდილობა/მკვდრადშობადობა, ახალშობილის დაბალი წონა, ა.შ. 15-19 წლის მოზარდ გოგონათა შორის მშობიარობის გართულებების გამო გარდაცვალების ალბათობა ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე 20-24 წლის ასაკის ქალების შემთხვევაში, უფრო ადრეულ ასაკში ორსულობის შემთხვევაში ეს რისკი კიდევ უფრო იზრდება; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (2017 წ.) გლობალურად, ორსულობის გართულებები 15-19 წლის გოგონათა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია. მოზარდ ასაკში ორსულობა და დედობა განსაკუთრებით რთულია, რადგან ამ ასაკის გოგონებს უჭირთ ბავშვისა და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ბარიერები განათლების მიღებისთვის: ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების მიერ სკოლის მიტოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ქორწინების ან ნიშნობის შემდეგ, გოგონები ხშირად წყვეტენ სკოლაში სიარულს, რადგან მათ, როგორც წესი, საოჯახო საქმეების ტვირთი აწვებათ. საქართველოში 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულ ქალთა უმეტესობა ვერ ახერხებს საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღებას. არასრულფასოვანი განათლება აფერხებს გოგონების განვითარებას, არ უტოვებს მათ ფართო არჩევანს და ართმევს მათ ცხოვრებისთვის საჭირო სახსრების მოპოვების შესაძლებლობას.

დაურეგისტრირებელი კავშირები: 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, დაურეგისტრირებელი ადრეული/ ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონებს სამართლებრივი რეგულაციების მიღმა და მთელი რიგი სოციალური გარანტიების გარეშე ტოვებს. მაგალითად, დაურეგისტრირებელი კავშირისას არ არის დაცული ქალის ქონებრივი უფლება და განქორწინების შემთხვევაში იგი ვერ მოითხოვს თანაცხოვრების განმავლობაში შეძენილ ქონების წილს.

საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებლად მიმართავენ არაფორმალურ განათლებას. გაეროს მოსახლეობის ფონდი ქვეყანაში ლიდერია ახალგაზრდა თანატოლთა განათლების მოდელის პილოტირებასა და გავრცელებაში. ეს არის ეფექტური მოდელი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდისათვის. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდული ფორუმები, მედიის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, ინფორმაციული და საგანმანათლებლო სესიები საზაფხულო ბანაკებში; პროგრამა ასევე მოიცავს საგანმანათლებლო მასალებისა და ინიციატივების ფართო სპექტრს. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ახალგზარდები. 2006 წლიდან 600-ზე მეტი ახალგაზრდა მომზადდა ისეთ საკითხებში, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, აივ/შიდსის პრევენცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები. მათ კი, თავის მხრივ, მიღებული ცოდნა გაუზიარეს 55 000-ზე მეტ ახალგაზრდას, მათ შორის - მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს: იძულებით გადაადგილებულ და უმცირესობათა ჯგუფებიდან. ახალგაზრდების ინფორმირებულობის გასაზრდელად და ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელია ამ საკითხების ინტეგრაცია ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში.

გამოცემის მთავარი გზავნილი კი შემდგომია:

სრულწლოვან ასაკში ქორწინება ქალს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევს, რაც ყველასთვის სასიკეთოა. ახალგაზრდა ქალი, რომელიც სრულწლოვან ასაკში ქორწინდება, დიდი ალბათობით, იღებს სრულფასოვან განათლებას, მუშაობს და შეაქვს ინვესტიცია ოჯახში. მეტად მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ახალგაზრდას, თუ სრულწლოვან ასაკში ქორწინდება, მეტი ძალა შესწევს, დამოუკიდებლად მიიღოს თავისი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, თავის მეუღლესთან ერთად აირჩიოს როდის და რამდენი შვილი იყოლიოს. გოგონების განვითარებაში ინვესტირება ყველასთვის სიკეთის მომტანია: ოჯახისთვის, საზოგადოებისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვითონ გოგონასთვის. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება გოგონების უფლებების დარღვევაა, ის მათ ართმევს ბავშვობას, ხელს უშლის სრულფასოვანი განათლების მიღებაში, საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს. გოგონებისათვის მიყენებულ ზიანს ვერ გაამართლებს ადრეული ქორწინების ვერავითარი კულტურული, რელიგიური თუ ეკონომიკური მოტივი. გოგონას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება და საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს, თუ როდის და ვისზე დაქორწინდება. მშობლებმა, საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, მხარი უნდა დაუჭირონ და პატივი სცენ გოგონას არჩევანს და გადაწყვეტილებას. **ძვირფასო მშობლებო! საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის, ააცილეთ მათ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება და შეუწყვეთ ხელი შვილების განათლებასა და განვითარებას.**

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც სულიერი საუნჯე

„კაცობრიობის გაჩენის დღიდან არც ღმერთისთვის, არც სიყვარულისთვის, არც მეგობრობისთვის, არც ვაჟკაცობისთვის, არც ქალისთვის, არც კაცისთვის, არც მზისთვის, არც ცისთვის, არც დედამიწისთვის ასეთი დიდებული ჰიმნი ჯერ არავის არ უმღერია!” - ჩვენთვის ყველასათვის საყვარელმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ „ვეფხისტყაოსანი“ ამ ერთი წინადადებით უზუსტესად შეაფასა. პოემა არამარტო ქართველებისთვის, შეიძლება ითქვას, მსოფლიოსთვისაც დიდებული ჰიმნია, საუნჯეა, მეორე ბიბლიაა, რომელიც ყველაფერზე მოგვითხრობს: მეგობრობაზე, სიყვარულზე, ნდობაზე, ერთგულებაზე, გმირობაზე, თავდადებაზე. პოემა იმ ღირებულებებს აღგვიწერს, რაზეც იზრდება ანდაც უნდა აღიზარდოს თაობები. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში სწორი არჩევანის გაკეთება „ვეფხისტყაოსანის“ სწავლებებზე დაყრდნობითაც თამამად შეიძლება.

29 ოქტომბერს სწორედ, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის და პოეზიის დღე აღინიშნა დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ღონისძიება ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მჭედლიშვილმა გახსნა. „მე მიხარია, რომ დღეს აქ ბევრი ბავშვი და მშობელია. ჩვენ ჯერ კიდევ ბოლო ღონისძიებაზე გადავწყვიტეთ, რომ შეგვექმნა ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუდმივად, რეგულარულად იმუშავებდა. პოეზიასთან, პროზასთან დაახლოვებდა ბავშვებს. რაც უფრო ახლოს იქნებიან წიგნრბთან ბავშვები, იქნებ უფრო ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი კომპიუტერებზე, სოციალურ ქსელებზე. მე ვფიქრობ, რომ ბიბლიოთეკაში გაკეთებულ ყველა ღონისძიებას სწორედ ეს აქცენტი აქვს. ჩვენ თუ არ ჩავერიეთ, მშობლები, ოჯახი, და ქვეყანა, ბავშვები ვერ იქნებიან წიგნთან ახლოს მერწმუნეთ, რადგან ახლა იმდენად წინ წავიდა ტექნოლოგიები, რომ წიგნი გადაიფარა. არ შეიძლებოდა, რომ რუსთაველის დღე ბიბლიოთეკაში პატარა ღონისძიებით მაინც არ აღგვეღნიშნა. ამიტომაც მოეწყო დღეს სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე. ბავშვი თუ არ გაიზარდა თავის წარმოსახვაში, წიგნში არსებული პერსონაჟთან ერთად, ის ვერასოდეს კითხვას ვერ ისწავლის. ამ ასაკიდან თუ არ ისწავლეს წიგნის კითხვა, შემდეგ უკვე ძალიან რთული იქნება ამ პროცესის წარმართვა. მე მოგილოცავთ თქვენ და მთელს საქართველოს ამ დღეს.“

ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ცეცელო ჯანაშვილმა მოკლედ მიმოიხილა „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა, მისი როლი ქართველთა სულიერ და ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მან ასევე ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ როლზე საზოგადოების სულიერი განვითარების საქმეში. გარდა ამისა აღინიშნა, რომ პოემა ქართველთა ცოდნისა და განათლების საზომსაც წარმოადგენდა და ის ბევრმა ქართველმა ზეპირადაც კი იცოდა. შესაბამისად, ზეპირსიტყვიერადაც გადასცემდნენ მას თაობიდან თაობასა. „ „ვეფხისტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული შედევრი, მეორე ბიბლიადაც მოიხსენიება.

ვიტეთ, რომ შეგვექმნა ლიტერატურული ჯგუფი, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუდმივად, რეგულარულად იმუშავებდა. პოეზიასთან, პროზასთან დაახლოვებდა ბავშვებს. რაც უფრო ახლოს იქნებიან წიგნრბთან ბავშვები, იქნებ უფრო ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი კომპიუტერებზე, სოციალურ ქსელებზე. მე ვფიქრობ, რომ ბიბლიოთეკაში გაკეთებულ ყველა ღონისძიებას სწორედ ეს აქცენტი აქვს. ჩვენ თუ არ ჩავერიეთ, მშობლები, სწორედ ამ უდიდესი ნაწარმოებით გააცნო მსოფლიოს ჩვენი ქვეყანა შოთა რუსთაველმა.“ - ამ სიტყვებით მიმართა მან დამსწრე საზოგადოებას.

ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნაირა კაისაძემ კი ისაუბრა იმ ლიტერატურულ ჯგუფზე, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბდა და რომელსაც „საქართველოს მომავალი“ ეწოდა. მასში გაწევრიანებულია 16 ბავშვი: ალულიშვილი მარიამი, წიკლაური ბარბარე, პავლიაშვილი ნანიკო, ლეკაშვილი ელენე, ფიროსმანაშვილი დემეტრე, ნატროშვილი თეკლა, ქადაგიძე გიორგი, ქადაგიძე დავითი, აბულაშვილი ნატალი, ზირაქიშვილი ნიკუშა, ლეკაშვილი გიგა, მამისბეგაშვილი მარიამი, ჭუბაბრია ლაშა, ჩოფიკაშვილი ლალა, შანშაშვილი ლიზი, შანშაშვილი ეთერი. „ეს ბავშვები ჩვენ იმიტომ გავაწევრიანეთ, რომ უყვართ პოეზია, ბიბლიოთეკაში სისტემატურად მოდიან, სიყვარულით კითხულობენ წიგნებს, უყვართ ჩვენი დახვედრაც. გარდა ამისა, გყვავს კიდევ უამრავი ბავშვი, რომლებიც მოდიან, კითხულობენ დამატებით ლიტერატურას, იღებენ ღონისძიებებში მონაწილეობას. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ამ ბავშვების მშობლებს, რომლებიც ყოველთვის გვერდგში გვიდგანან ჩვენც, თავიანთ შვილებსაც და აყვარებენ წიგნის კითხვას“.

გამომსვლელების სიტყვის დასრულების შემდეგ ლიტერატურული ჯგუფის წევრმა ბავშვებმა დამსწრე საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ გააცოცხლეს „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა მონაკვეთები, რომელსაც ყველა ინტერესით და ერთგვარი ნოსტალგიითაც კი უსმენდა. ღონისძიების დასასრულს, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა სიტყვით მიმართა მისულ სტუმრებს: „დიდი მადლობა მინდა ვუთხრა უპირველეს ყოვლისა ამ ბავშვებს, რადგან ასე კარგად წაიკითხეს „ვეფხისტყაოსნის“ ამონარიდები. მთავარია, რომ ამ მსოფლიო გენიას შეეხნენ, მსოფლიო აზროვნების მოცემულობას. ისე კითხულობდნენ, რომ ნამდვილად ჰქონდათ გაგებული ის, რასაც ჰყვებოდნენ. რაც შეეხება ღონისძიებებს, დიდი მადლობა ცენტრალურ ბიბლიოთეკას, ძალიან ბევრი კარგი ღონისძიებები გაქვთ ჩატარებული და რაც მთავარია, ეს არ შემოიფარგლება თქვენი, მარტო თანამშრომლების ჩართულობით. ბავშვები გყვავთ ჩართული და ეს უმნიშვნელოვანესია. მშობლები, თავიანთი თანადგომით, ძალიან დიდი საქმეს უკეთებენ შვილებს. არაფორმალური განათლება ეს ბავშვისთვის ძალიან დიდი წინსვლაა. ისინი ამას ლიტერატურის წყურვილით და თავიანთი სიამოვნებისთვის აკეთებენ. მერწმუნეთ, ამით ისინი უფრო მეტ განათლებას მიიღებენ, უფრო მეტად გაიზრდება მათი აზროვნება, ინტელექტი უფრო კარგად და სწორად ჩამოყალიბდება და ცხოვრების უფრო სწორ გზას ამით აირჩევენ, ვიდრე დაძალებით. თუმცაღა სკოლას თავისი ფუნქცია აქვს და შეუცვლელია. ისევე როგორც არაფორმალური სწავლება და ჩართულობაა შეუცვლელი. მადლობა მშობლებს თანადგომისთვის, რასაც ისინი საკუთარ შვილებს უწევენ, ხოლო ბიბლიოთეკას კი შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ.“

ღონისძიება ასევე შეაფასა დედოფლიწყაროელმა პოეტმა ლევან ალავერდაშვილმაც: „გისმენდით და ძალიან გამიხარდა პირველი ის, რომ ბავშვების ლიტერატურული ჯგუფი ჩამოყალიბდა. ძალიან მალე მწერალთა ოთახს ოფიციალურად გვექნება ოთახი. ამიტომ მოვიდნენ ეს ბავშვები ჩვენთან. თუ თვითონ ვერ მოვლენ, ჩვენ მოვალთ. ტელეფონებს და კომპიუტერებს ცოტა ნაკლები დრო დაუთმეთ და წიგნებს, მათ მიაქციეთ მეტი ყურადღება. წიგნს ვერასდროს ვერაფერი ვერ შეგიცვლით. ვერც ტელევიზია, ვერც კომპიუტერი და ვერც ინტერნეტი. გოეთეს ჰქონდა ნათქვამი, რომ „გიყვარდეს წიგნი უმეტეს მშობლისაო“. ეს გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ წიგნი უფრო მეტს გასწავლით, ვიდრე სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები. მოდით ჩვენთან, ერთად წავიკითხოთ. არამარტო „ვეფხისტყაოსანი“, სხვა დანარჩენი ლიტერატურაც. თუ ვინმე წერთ ლექსებს, მოიტანეთ და დავბეჭდოთ კიდეც თქვენი ლექსები.“

შეხვედრის დასასრულს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მჭედლიშვილმა ყველას მადლობა გადაუხადა თანადგომისა და მობრძანებისათვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ჩვენი მიზანია, სიმღერით გავაერთიანოთ საქართველო...

12 წლის წინ მის ცხოვრებაში მოულოდნელი სიახლე მოხდა. ეძიმმა ლაშა ღლონტმა მეგობარი კომპოზიტორის თხოვნით სიმღერა ჩაწერა. მეორე დღეს სულ სხვა რეალობაში გაიღვიძა. ქუჩაში გამოსულს ღიმილი და ხალხის დაჭინებული მზერა მიაცილებდა... თავდაპირველად ტანსაცმელზე დაიხედა, აქაოდა, რაიმე უცნაურობა ხომ არ მჭირსო, მერე კი, რამდენიმე გამვლელმა უკვე ავტოგრაფიც რომ სთხოვა, მიხვდა, რომ მშვიდად ვეღარ იცხოვრებდა... ასე დაემატა მის მთავარ პროფესიას მეორე პროფესია-მომღერლობა. მას შემდეგ აღარც ის ჩამოსულა სცენიდან და აღარც მისი სიმღერები პოპულარული რადიოსადგურების ეთერებიდან...

31 ოქტომბერს ცნობილი ქართველი მომღერალი დედოფლისწყაროს სტუმრობდა. მცირე პუბლიკის მიუხედავად, მან ცოცხლად შეასრულა მთელი თავისი რეპერტუარი და ჩვეული გურული იუმორითაც მოხიბლა მსმენელი. ლაშა ღლონტი დედოფლისწყაროში მეორედ იმყოფებოდა, თუმცა, ეს მისი პირველი სოლო კონცერტი იყო ჩვენს რაიონში.

„მეორე წელია, ჩემს მეგობრებთან ერთად, საქართველოს რეგიონებში ვატარებ სოლო კონცერტებს. დღეს არის, დაახლოებით, 63-ე კონცერტი ამ ტურნეს ფარგლებში, ოღონდ ეს კონცერტები ზედიზედ არ მიმდინარეობს, რადგან უცხოეთშიც მიწევს საგასტროლოდ სიარული. ახლახანს ჩამოვედი საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან, იქ მქონდა კონცერტები. ჩემი გრაფიკი ცოტა უცნაურია: პარიზი-დედოფლისწყარო- ჰოლანდია... მაგრამ ერთნაირი გულით, დატვირთვით, ერთნაირი სიყვარულით ვასრულებ ჩემს რეპერტუარს... ძალიან დასაფასებელია, როცა ადამიანებს ასე უჭირთ, ისინი მაინც მოდიან კონცერტზე. ეს კონცერტი არ კეთდება დაფინანსებით, ეს არის წმინდა კომერციული ხასიათის, თუმცა ამ სახელს ვერ დავარქმევ, რადგან ეს კეთდება მოსახლეობისთვის, ბილეთის ფასიც მინიმალურია. ჩვენი მიზანია, სიმღერით გავაერთიანოთ საქართველო. და მე თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ეს გავაკეთო, რადგან ჩვენ, ქართველი მომღერლები ქართულ სიმღერასთან ვასოცირდებით და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ხალხში ძალიან დიდი მუხტია , ძალიან დიდი სიყვარული და სიკეთე დევს , მე ამაში დავრწმუნდი.“-განაცხადა ლაშა ღლონტმა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას.

ინგა შიოლაშვილი

„აღარ შემიძლია ამ ჯოჯოხეთში ცხოვრება“

აზარტული თამაშების კიდევ ერთი მსხვერპლი

29 ოქტომბერს პირველი არხის ოპერატორი სანდრო ბერაძე გარდაცვლილი იპოვეს. სანდრო ბერაძეს ოჯახი 3 დღე ეძებდა. სამძებრო სამუშაოებში მაშველები და პოლიცია მონაწილეობდა. როგორც 29 წლის ბიჭის დედა, ნინო ლოლაძე ჟურნალისტებთან საუბარში ამბობდა, შვილს გარკვეული პრობლემები ჰქონდა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული იყო. მისივე თქმით, ოჯახს დაემშვიდობა, ბოდიში მოგუხადა და უთხრა, რომ “აღარ აპირებდა ასეთ ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში ყოფნას”.

სანდროს მეგობარი, გიორგი ჩოგოვაძე სოციალურ ქსელში ვრცელ პოსტს აქვეყნებს:

“მოგიყვებით როგორი ბიჭი იყო სანდრიკა... კი ბაბ...

არა ბაბ... სანდრო პირველ იანვარს იყო დაბადებული. ხშირად მეუბნებოდა, რომ დაბადების დღე არ მაქვსო. ყველა ისედაც ქეიფობს და არავის ვახსოვა-რო. სანდრო ყველასი იყო და ყველასთვის იყო. ესეთი იყო ის. არანორმალუ-რად მზრუნველი, თბილი და ყურადღებიანი. დიდი ბავშვი იყო თვითონ და ამიტომ ყველა პატარასთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა.

ყველაზე ბედნიერი თავს მათ გარემოცვაში გრძნობდა. არამხოლოდ უყვარდა მეგობრები, თავად “მეგობრობაზე” გიჟდებოდა. ვინც კი იცნობდით სანდროს ყველას მთელი გულით გისამძიმრებთ, იმიტომ რომ შეუძლებელია იცნობდე მას და გულში არ გყავდეს. ის სიცარიელე რაც მან დატოვა, წარმოუდგენე-ლია რამემ შეავსოს.

ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო მისი აზარტული თამაშები. გახსოვთ ის პერიო-დი ყოველ 100 მეტრში, აფთიაქებივით სლოტ კლუბები, რომ იყო გახსნილი. მა-შინ თვითონაც პატარა იყო. დაიწყო თამაშით. არ იცოდა მაშინ სიცოცხლეს თუ ეთამაშებოდა და როცა ეს გაიაზრა მას მერე მუდმივ ბრძოლაში იყო საკუთარ თავთან. ბრძოლაში, რომელშიც დამარცხდა. დამარცხდა არა იმიტომ რომ სუსტი იყო - მან ვეღარ გაუძლო იმას, რომ საკუთარ თავს ვერ ერეოდა.

საშინლად არ მოსწონდა ის სანდრო, რომელიც დამოკიდებული იყო აზარტზე. საგულდაგულოდ მალავდა ამას. ამ წლების განმავლობაში, რაც ვმეგობრობთ, რამდენჯერ უთხოვია ჩემთვის: “გიოს არ უთხრა ხო იცი...” ამ ზაფხულს რაღაცეების რადიკალურად შეცვლა დაიწყო. არ ვიცოდი, ვერ მივ-ხვდი, რომ ეს გადამწყვეტი ბრძოლა იყო. 50-ჯერ მანც აქვს ნათქვამი ვარჯი-ში დავიწყე და წამო შენც... “მაგრად გაგისწორდება ბაბ...”, მირეკავდა საღა-მოობით... გამოლისზე ავიდეთ ვისეირნოთო.

პარალელურად, ვიცოდი რომ ფსიქოლოგთან დადიოდა. სამსახურშიც დაბრუნ-და. ბრძოლაც დაიწყო სათამაშო ბიზნესის წინააღმდეგ. “ბიზნესის”, რომელმაც საბოლოოდ სიცოცხლეზე უარი ათქმევინა. სწორედ ამ ბრძოლის ნაწილი გახადა თავისი სიკვდილიც. სადღაც ოდესღაც ნათქვამი აქვს ეს ჩემთვის. მოფიქრებული ჰქონდა როგორ შეეძლო დაემარცხებინა ის, რამაც სიცოცხლე გაუმწარა. მაშინ ეს ისეთი წარმოუდგენელი ჩანდა... თუმცა, ამაზე ცოტა ქვევით მოგიყვებით.

მეუბნებოდა რომ აღარ თამაშობდა. ბოლო თვეებში რამდენჯერმე ტელეფონში ჩამძვრალს რომ წავასწარი მითხრა: “არა ბაბ... 10 ლარი ხო იცი...” თურმე უკვე ჩემთანაც მალავდა... ასე დარჩა მარტო თავის კოშმართან. რაც ყველაზე მეტად აწუხებდა, იმაზე უკვე მეგობრებსაც კი ვეღარ ელაპარაკებოდა.. ასე დარჩა მარტო. მარტო დარჩა სანდრო. სანდრიკა, რომლის სახეზე მუდამ ღი-მილი იყო, რომელიც მუდმივად ფიქრობდა სხვებზე.

ეს არაა უბრალოდ ლამაზი სიტყვები... მართლა ესე იყო. იმდენი რამის მო-ყოლა შემიძლია სანდროს მაგარ ბიჭობაზე. ეს ისტორიები არც ერთმანეთს გავს და არც რამე სხვა ამბებს. მარტო სანდრიკას შეეძლო ესეთი ცხოვრება ეცხოვრა. ბოლოს მიხვდა რომ უბრალოდ ვეღარ აგრძელებდა და დახურა თა-ვისი წიგნი. არავინ იფიქროთ რომ სანდრომ თავის სიცოცხლე რამე კონკრე-ტული თანხის წაგების გამო დათმო. არც ის იფიქროთ, რომ ეს სპონტანური, იმ დღის გადაწყვეტილებაა. აფექტზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი...

40 წუთი მარტო ტაქსით იარა დიდუბიდან იმ ულამაზეს ტყემდე. გზად შეიძინა რაც სჭირდებოდა. მოამზადა ყველაფერი. მთელი გულით აკეთებდა ყოველთვის ყველაფერს. არ შეეძლო სხვანაირად. მერე დაურეკა დედას და ძმას დასამშვიდო-ბებლად და ბოდიშის მოსახდელად. დავიღალეო... ღმერთმაც მიმატოვაო. აღარ შემიძლია ამ ჯოჯოხეთში ცხოვრებაო... ამ ყველაფრის მერე რაკავს 112-ში. ეუბ-ნება რომ ტყეშია და თავის მოკვლას აპირებს. იმასაც ამბობს, რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. ბოლოს ეუბნება, რომ ეხლა მეძებეთ ტყეში, თქვენი დედაც ვატირეო...

ამ სატელეფონო ზარის ჩანაწერი ძალიან გვჭირდება იმისთვის, რომ სანდროს ხმაც ისმოდეს იმ ბრძოლაში, რომელიც თავად დაიწყო. ვისაც დახმარება შეგიძლიათ ამ ამბავში დაგვეხმარეთ...

შემდეგ ტელეფონს აერთებს “ფოვერ-ბენკში”. ალბათ იმისთვის, მერე გვეპოვა და დაწყებული საქმე ბოლომდე მიყავს. არ იცოდა სანდრომ, რომ 4 დღე ვერ ვიპოვიდით... ნამდვილად არ იცოდა.

არ შეეძლო ეს თავისი ძმისთვის გაეკეთებინა. ძმისთვის, რომელიც 6 თვე ნა-ნახი არ ყავდა და ორი კვირის წინ, დახვედრის შემდეგ, ნასესხები ფულით რესტორანში წაიყვანა. დღე, როცა სანდრო იმ არაბუნებრივად ლამაზ ტყეში ვიპოვეთ - გიოს, სანდროს ძმის, დაბადების დღე იყო.

სიცოცხლე ისე უყვარდა, არავის გვჯეროდა, რომ ამას გააკეთებდა. ბოლო წა-მამდე ვერ დავუშვი. როცა იმ არაჩვეულებრივად ლამაზ ტყეში შემხვდა, წა-მით ცოცხალი მეგონა. ფეხზე იდგა თითქოს. ნაგავი პარკში ქონდა მოგროვე-ბული. სათვალე, ტელეფონი კოხტად დალაგებული. ასეთი იყო სანდრო. რა-საც აკეთებდა, ყველაფერს გულით აკეთებდა.

ამ წერილს 2 დღეა ვწერ. უკვე აღარ მახსოვს რამდენჯერ ვიტირე, ხმამაღლა, პატარა ბავშვივით... ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე იმის გააზრება რაც სანდრომ გააკეთა, დაგეგმა და განახორციელა.

არა ბაბ... კი ბაბ... სულ ვეჩხუბებოდი რა აიჩემე ეს ბაბ... მთელი ქალაქი ბა-ბულიკებს დასცინის მეთქი... ყოველთვის ერთიდაიგივეს მპასუხობდა.... “არა ბაბ... ღადაობაა ბაბ...”. ამ წერილს ქუდად სანდროს ფოტოა. ლისზე... ნაპირზე დგას, ჩემს დისშვილთან თამაშობს.

მეუბნებოდა, რომ საგულაოდ მე უნდა წავიყვანო პირველადო. იმდენი გეგმე-ბი ქონდა. რამდენი რამის გაკეთება უნდოდა... ბათუმში ვიყავით, როცა გაი-გო რომ ჩემი დისთვის ხელი უნდა ეთხოვათ. იმ დღეს თბილისში აუცილებ-ლად უნდა ჩამოსულიყო - პრობაციაზე თითი უნდა დაედო. ცოცხალი თა-ვით არ წავიდა და დარჩა. მე ამას ვერ გამოვტოვებო. პირობითი ქონდა მარიხუანას მოხმარებისთვის. ამის გამო რამდენიმე წელია არ უშვებდნენ ქვეყნი-დან. ყველამ ვიცით, როგორ განიცდიდა ამ ამბავს. გამომწყვდეული იყო აქ, ჩვენთან. ყველაფრის მიუხედავად, სანდრიკამ პირადად მე არ დამიტოვა არა-ნაირი კითხვა იმაზე, თუ რატომ გააკეთა ეს.

ზუსტად იცოდა, რაც მოყვებოდა ამ ამბავს. ნამდვილად იცოდა და თუ კიდევ ვინმე ვერ მიხვდა რა მოხდა - ნახეთ ეს ფილმი “The life of David Gale” ცე-ცხლი დაანთო და თამაშიც დაამთავრა.

ის მემკვიდრეობა, რაც სანდრომ დატოვა ძალიან ადვილად დასანახია. უნდა დასრულდეს ეს განუკითხაობა რასაც აზარტული თამაშებით ადამიანების წვა-ლება ჰქვია. უნდა დასრულდეს ადამიანების სიცოცხლით თამაში და ის არგუ-მენტი, რომ სათამაშო ბიზნესს მილიარდები მოაქვს ქვეყნისთვის - არის გული-სამრევი! აბა გაიაზრეთ ის მილიარდები რა ფულით გროვდება.

ალყაში მოქცეულმა ალ–ბაღდადიმ ორ ცოლთან ერთად თავი „შაჰიდის ქამრით“ აიფეთქა – „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი ლიკვიდირებულია, მერამდენედ?!

“ისლამური სახელმწიფოს” ლიდერი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ლიკვიდირებულია სირიის ქალაქ იდლიბის პროვინციაში ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმის “დელტას” მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში. ალყაში მოქცეულმა ალ-ბაღდადიმ და მისმა ორმა ცოლმა თავი “შაჰიდის ქამრებით” აიფეთქეს, რომ ამერიკელი სპეცრაზმელების ტყვეობაში არ მოხვედრილიყვნენ, რის შემდეგ ამერიკულმა ავიაციამ, რვა შვეულმფრენმა და ორმა უპილოტომ, გამანადგურებელი საჰაერო დარტყმა მიაყენა იმ სახლს, რომელშიც აფეთქებული ალ-ბაღდადის ნეშტი იყო, რათა ეს სახლი ალ-ბაღდადის თანამოაზრეთა “მექად” არ გადაქცეულიყო...

დაახლოებით ასეთი ინფორმაცია გავრცელდა მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რამდენიმე დღის წინ...

ალ-ბაღდადი მსოფლიო დონის რიგით მეორე საერთაშორისო ტერორისტად ითვლებოდა, “ალ-კაიდას” ლიდერის უსამა ბენ ლადენის შემდეგ, რომელიც ასევე ამერიკული სპეცრაზმის “დელტას” მიერ იქნა ლიკვიდირებული 2011 წლის 2 მაისს პაკისტანის ქალაქ აბოტაბადში.

მაშინდელმა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ “ნომერ პირველი” ტერორისტის უსამა ბენ ლადენის განადგურებით ბევრი მომგებიანი ქულა ჩაიწერა ამერიკელ ამომრჩეველთა თვალში, როგორც 2001 წლის “ტყუპების გამანადგურებლის” შურისმაძიებელმა, რაც მას უცილობლად დაეხმარა, რომ 2012 წელს მეორედ აერჩიათ პრეზიდენტად.

დღევანდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც ყოველნაირად ეცდება, რომ “ისლამური სახელმწიფოს” ლიდერის ალ-ბაღდადის ლიკვიდაცია სათავისოდ გამოიყენოს იმის ფონზე, როდესაც სირიიდან ამერიკული სამხედრო დანაყოფების გამოყვანისა და ახლო აღმოსავლეთის პუტინისთვის “დათმობის” გამო, მას სამშობლოში ძალზე მწვავედ აკრიტიკებენ.

რაც შეეხება ალ-ბაღდადის, მისი ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციები აქამდეც არაერთხელ გავრცელებულა, რაც შემდგომ ტყუილი გამომდგარა, მაგრამ ამჯერად, დიდი ალბათობით, ის სინამდვილეს შეეფერება.

ყველაზე საინტერესო კი იცით რა არის? სანამ ალ-ბაღდადის ლიდერობით შექმნილი “ისლამური სახელმწიფო” 2014 წელს ელვის სისწრაფით გაითქვამდა სახელს მთელ მსოფლიოში, 2004-2009 წლებში ერაყში ამერიკულ ციხეში სწორედ ეს ალ-ბაღდადი ტუსაღის სტატუსით იმყოფებოდა...

მეუღლე მარინა პაპაჩაშვილი, შვილი მორისი, ძმები: გიორგი, რეზო. დები: მაყვალა, თამრიკო, ნატო ოჯახებით. ცოლისდა მზია, ცოლის დისშვილები ოჯახებით იუწყებიან

მიხეილ (ვახტანგ) ხმალაძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

ლალი ნატროშვილი, ნათელა, ნიაზი, სოსო ჯანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა პაპაჩაშვილს მეუღლის, მორის ხმალაძეს მამის

ვახტანგ ხმალაძის

გარდაცვალების გამო.

ლამარა, ირმა და ინგა ბაიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნუნუ ცაკაშვილს და ელიზბარ იმერლიშვილს, აგრეთვე, მთელ ოჯახს დედის

მარიამ ბერიძე-ცაკაშვილის

გარდაცვალების გამო.

გულნარა ღორაშვილი ოჯახით იუწყება უახლოესი უფროსი მეგობრის

მარიამ ბერიძე-ცაკაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის შვილებს და ახლობლებს.

ნელი გობეჯიშვილი, ნაირა გორაშვილი და ინგა შიოლაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნუნუ ცაკაშვილს და ელიზბარ იმერლიშვილს დედის

მარიამ ბერიძე-ცაკაშვილის

გარდაცვალების გამო

ნელი გობეჯიშვილი, ნაირა გორაშვილი და ინგა შიოლაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მაყვალა მაძღარაშვილის ოჯახს მეუღლის

გოგი მანაგაძის

გარდაცვალების გამო

„ოქროსფერი შემოდგომა“ ბაღში

მესამე საბავშვო ბაღში ოქროსფერი შემოდგომა ფერად და სახალისო აქტივობებთან ერთად მოვიდა.

5-6 წლიანთა ჯგუფის პედაგოგმა ნანა სეხნიაშვილმა საშემოდგომო შემაჯამებელ აქტივობაზე მიგვიწვია. ნანა მასწავლებელმა ჯგუფის 30 აღსაზრდელს ჭრელი ფურცლებითა და ნახატებით შემოდგომის ბუნება საკუთარი ხელით გააცოცხლებინა, ბარაქიანი მოსავალი აიღეს, რთველი მოაწყეს და მათივე დაწურული ბადაგით ჩურჩხელებიც ამოავლეს.

საშემოდგომო აქტივობების ფარგლებში, საყვარელ მასწავლებლებთან ერთად ლამაზი დღე ლექსებით, სიმღერებითა და აპლიკაციებით გაახალისეს.

რამდენი დროა წელიწადში და რომელი დროა ახლა, როგორ ვგრძნობთ შემოდგომის მოახლოვებას, როგორი ამინდებისგან გამოარჩევდით მას, რომელ ხილს და ბოსტნეულს გვაძლევს ეს დალოცვილი და ხვავიანი სეზონი, რთველი, ყურძენი და მისი დანიშნულება, ეს და სხვა მრავალი კითხვა დაისვა და კარგად მომზადებული პატარები სწრაფად და ხალისიანად პასუხობდნენ კითხვებს. ჯგუფურ მუშაობაში მასწავლებელს დახმარებას უწევდნენ თანაშემწე ხათუნა მენთეშაშვილი და ძიძა ნინო ღორაშვილი, მუსიკალურ არანჟირებას მუსიკის მასწავლებელი ხათუნა ჯანაშვილი უძღვებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ღონისძიება სიახლე იყო ჩვენთვის, როგორც სტუმრებისთვის. ადგილზე შევიტყეთ, რომ უკვე მაისიდან საბავშვო ბაღების ჯგუფებში ასაკობრივი ნიშნულების მიხედვით ცენტრები დაარსდა, მაგრამ უფრო კონკრეტულად რას ნიშნავს „ცენტრების“ შექმნა, პედაგოგს ვკითხეთ:- უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისთვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას, რაც მას საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს. დღეისათვის ჩემი ჯგუფის ბაზაზე ფუნქციონირებს ოთხი ცენტრი, ესენია: წიგნიერების, მათემატიკის, კუბური და ხელოვნების ცენტრები. წიგნიერების ცენტრის მიზანი: ეს არის წყნარი ადგილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, დაათვალიერონ წიგნები, მასწავლებლებმა, მშობლებმა ან მასწავლებლის დამხმარემ წაუკითხოთ მათ. გააკეთონ საკუთარი წიგნები, გაითამაშონ ან გამოიგონონ ზღაპრები, ამისთვის კი მათ ესაჭიროებათ წიგნები, ჟურნალები, ფანქრები, ქაღალდები, კონვერტები, მარკერები და სხვ. ეს ყოველივე ხელს უწყობს წერა-კითხვის უნარ ჩვევების, კონცენტრაციის, მოტორიკის, სოციალური უნარ-ჩვევების, საკუთარი თავის შეფასების განვითარებას.

მაგალითად, ხელოვნების ცენტრის მიზანია, დავეხმაროთ ბავშვებს საკუთარი შემოქმედებითი უნარის აღმოჩენასა და განვითარებაში. სასიამოვნო შემოქმედებით სამუშაოსთან ერთად შევძინოთ მათ ახალ მასალასთან მუშაობის გამოცდილება. ამ აქტივობებისთვის გვესაჭიროება საღებავები, ქაღალდები, მაკრატელი, ფანქრები, ცარცი, ქსოვილის ნაჭრები, ლენტები, ბუნებრივი მასალა (ფოთლები, ქვიშა, კენჭები, ბუმბულები და ა.შ), მძივები,პლასტილინები, წებო და სხვ.

ეს აქტივობა ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარის, ურთიერთობის (ვერბალური და არავერბალური), საკუთარი თავის შეფასების უნარის, მოტორიკის, აზროვნების განვითარებას.

ყოველ ორშაბათ დილას ვატარებ „დილის წრეს“, სადაც ბავშვებთან ერთად განვიხილავთ მთელი კვირის გეგმას და მომდევნო დღეებში ვმუშაობთ ამ გეგმის მიხედვით, – გვიამბობს ნანა მასწავლებელი და მიხარია, რადგან ვხვდები, რომ ნელ-ნელა, ახალი რეფორმის ფარგლებში, (რომელიც 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს და თითოეულმა საბავშვო ბაღმა გაიაროს ავტორიზაცია) ბავშვის შემეცნებით განვითარებაზეა აქცენტი გაკეთებული და არა მაინცდამაინც დაუსრულებელ დაზეპირებაზე ლექსებისა თუ ტექსტებისა, რომლის ნეხევარზე მეტს აღსაზრდელები მექანიკურად იმეორებდნენ.

წიგნიერებისა და ხელოვნების წრის ინტეგრირებულ მეცადინეობას „ოქროსფერი შემოდგომის“ ფარგლებში ესწრებოდნენ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის მეთოდისტები ნინო კვიწინაშვილი და ეკა პოპიაშვილი. დასასრულს მათ შეაჯამეს ნანა მასწავლებლის მიერ მომზადებული სამუშაო, მოუწონეს და დადებითად შეუფასეს ახალი მეთოდებით განხორციელებული ღონისძიება.

* * *

ამავე ახალი მეთოდების მხედვით: ხელოვნებისა და წიგნიერების ცენტრების ერთობლივი მუშაობის ბაზაზე ჩატარდა 30 ოქტომბერს მესამე ბაღის 3-4 წლიანთა ჯგუფის საშემოდგომო მეცადინეობაც პედაგოგ ქეთინო ჯალიაშვილის მიერ. აქაც პატარა აღსაზრდელებმა თავი არ დაზოგეს თავიანთი ნამუშევრების სრულყოფილი მანიფესტირება მოეხდინათ თანაჯგუფელების, მასწავლებლებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე.

ელზა ხარაშვილი

ძალისმიერი სამჭიდი

სპორტი

26-27 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა საქართველოს თასის პირველობა ძალისმიერ სამჭიდში. დედოფლისწყაროს გუნდმა 13 მედალი მოიპოვა -გუნდურ პირველი ადგილთან ერთად 5-პირველი, 5-მეორე და 3-მესამე ადგილის მფლობელი გახდა. „ამჯერად დედოფლისწყაროს კლუბმა ლეგიონმა 14 სპორტსმენი გამოიყვანა საასპარეზოდ.6 სპორტსმენი ვერ გამოვიდა საპატიო მიზეზის გამო. საერთო ჯამში- ცალკე სამჭიდში და ცალკე წოლჭიმში-18 მედალი ავიღეთ და ერთად 5 პირველი,8 მეორე და 6 მესამე საპრიზო ადგილები მოვიპოვეთ“-განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ კლუბ „ლეგიონის“ მწვრთნელმა მიხეილ სეხნიაშვილმა.

ულოცავენ!

სპირიდონ პოპიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო მამა, გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს.

შენ დიდი ოჯახის ვალმოხდილი მეუღლე, მამა და თერთმეტი შვილიშვილის მოსიყვარულე პაპა ხარ, ჩვენი დიდი იმედი და სიხარული, გვიყვარხარ და გვეამაყები. ღირსეულად იცხოვრე და გვჯერა, რომ უკან მოხედვის არასოდეს შეგრცხვება.

ღმერთმა არ მოგაკლოს წყალობა და ჯანმრთელად გაგეტარებინოს სიცოცხლის შემდგომი წლები.

გკოცნით და გეფერებით შენი შვილები:
ქეთინო, ნათია, თამარი, სოლომონი და ნინო ოჯახებით.

ავთო ცაკაშვილს და თამრიკო ხანიაშვილს!

გულწრფელად ვიზიარებთ თქვენი დიდი ოჯახის სიხარულს და გილოცავთ თქვენი შვილების **შოთიკოს და მარიამის** ქორწინებას. სიყვარული და ბედნიერება ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი. თქვენ კი იხარეთ მათი ბედნიერებით და წარმატებებით.

პატივისცემით,
ზურაბ ჩალაბაშვილი ოჯახით.

იყიდება ბინა!

ქ. დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყოფილი მესამე სკოლის (ილიაუნის ფილიალი) წინ, იყიდება ერთოთახიანი კორპუსის ბინა პირველ სართულზე, სათავსოთი. რუსთაველის ქუჩა №116.
ფასი: 2 700 $.
☎ 593 275–275

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.11	სამშაბათი 05.11	ოთხშაბათი 06.11	ხუთშაბათი 07.11	პარასკევი 08.11	შაბათი 09.11	კვირა 10.11
დღე	6°	8°	10°	12°	13°	13°	9°
ღამე	5°	7°	8°	11°	12°	8°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.